დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 22.02.2023 წლის N 37 ბრძანებით

დანართი 1

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი

მუხლი 1 ზოგადი დებულებები

1.საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესით განსაზღვრულია შპს ნიუ მეჯიქის (შემდგომში - კოლეჯი) ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობები, ცნობადობის ამაღლების ჩატარების გზები, შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპები, საინფორმაციო საშუალებების მართვისა და განვითარების სტრატეგიები. წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზსა და რეაგირების ფორმას.

მუხლი 2. ამოცანები და მიზნები

1. საზოგადოებასთან ურთიერთობის ამოცანაა უზრუნველყოს კოლეჯის მაღალი რეპუტაციის მქონე სასწავლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება და გამყარება;

2. ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბება დაინტერესებულ პირებთან;

3. საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა სხვადასხვა ღონისძიებებითა და აქტივობებით;

4. კოლეჯის სასურველი იმიჯის შექმნა და გამყარება კოლეჯის მისიის, ღირებულებებისა და საქმიანობის გაზიარებით;

5. დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

6. ვებგვერდისა და სოციალური არხების საინფორმაციო უზრუნველყოფა;

7. პროფესიული განათლებისა და კოლეჯის საქმიანობის პოპულარიზაცია;

8. უკუკავშირის შედეგების გაანალიზება და კოლეჯის საქმიანობაში ეფექტურად გამოყენება.

მუხლი 3. საზოგადოებასთან ურთიერთობის პრინციპები

1. კოლეჯის თანამშრომლები ვალდებულნი არიან ითანამშრომლონ და მიაწოდონ ზუსტი და გადამოწმებული ინფორმაცია საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას;

2. კოლეჯის თანამშრომელი შეუძლია აწარმოოს კომუნიკაცია კოლეჯს შიგნით და მის გარეთ, ისე რომ ინფორმაციის სინამდვილე და გონივრულობა;

3. კოლეჯის თანამშრომლები მონაწილეობენ შეხვედრებში, სხვადასხვა სახის საინფორმაციო, საიმიჯო და საკომუნიკაციო აქტივობებში;

4. კოლეჯის თანამშრომელს შეუძლია გააკეთოს საჯარო განცხადება მედიასთან, განსახორციელებელი აქტივობები სასურველია შეათანხმოს საზმოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებასთან;

5. კოლეჯის თანამშრომელი აცნობიერებს პასუხისმგებლობას დაინტერესებული მხარისაგან მიღებული ინფორმაციის, უკუკავშირის შედეგების კოლეჯის საქმიანობის გაუმჯობესების გამოყენებაზე.

მუხლი 4. ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა

1.კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიული განვითარების გეგმა გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

2. კოლეჯის საქმიანობის გამჭვირვალეობა უზრუნველყოფილია, რამდენადაც წლიური ანგარიშები და სამოქმედო გეგმის შედეგები საჯაროა და ხელმისაწვდომი დაინტერესებულ პირთათვის;

3. კოლეჯი პოპულარიზაციისა და რეპუტაციის ამაღლების მიზნით აქვეყნებს ინფორმაციას ჩატარებული და დაგემილი აქტივობების შესახებ;

4. პროფესიულ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს საჭირო ინფორმაციას აწვდის გონივრულ ვადაში.

მუხლი 5. ინფორმაციის გავრცელების გზები

1. კოლეჯის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა და სოციალური ქსელი კოლეჯის ინფორმაციის გავრცელების, გარე კომუნიკაციის ძირითადი წყაროა, რითაც უზრუნველყოფილია დაინტერესებული პირების უკუკავშირი კოლეჯის ეფექტური საქმიანობის მიზნით;

2. ვებგვერდზე ატვირთულია კოლეჯის ძირითადი საქმიანობის ამსახველი მასალა;

3. ვებგვერდი და სოციალური ქსელი ახლდება გონივრულ ვადაში, ყოველი ახალი აქტივობის შემდეგ, რაც გვაძლევს საშუალებას უზრუნველყოფილი იყოს კოლეჯის საქმიანობის, განხორციელებული აქტივობების შესახებ გავრცელდეს ინფორმაცია დაინტერესებულ პირთათვის.

მუხლი 6. ინფორმაციის გავრცელებიდან მიღებული უკუკავშირი და ანალიზი

1. კოლეჯისთვის უმნიშვნელოვანესია საზოგადოების ინტერესის გათვალისწინება, მისი მოლოდინების ეფექტურად დაკმაყოფილებისათვის;

2. საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირი გამოიყენება კოლეჯის საქმიანობის გასაუმჯობესებლად;

3. მნიშვნელოვანია კოლეჯში საკომუნიკაციო საშუალებებით შემოსული შეკითხვებისა და შენიშვნების ანალიზი და ანალიზის შედეგების გამოყენება კოლეჯის განვითარებისათვის;